ამონაწერი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმიდან

სხდომის თარიღი: 16 თებერვალი, 2023
ადგილმდებარეობა: თბილისი, თინათინ ვირსალაძის I ჩიხი, N1

სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), როინ მიგრიაული, ნათია კორკოტაძე, ია გაბედავა, თორნიკე ბაქრაძე, ტარიელ კაკაბაძე, ინგა სეხნიაშვილი.

საკითხი 4. 2023 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებაზე საკითხის განხილვა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ 2023 წლის 16 თებერვლის მდგომარეობით, ასოციაციის 1743 წევრს უფიქსირდება 2023 წლის საწევრო დავალიანება. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ასოციაციის შემოსავლების ძირითად წყაროს საწევრო შენატანები წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვანია ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებისა და ასოციაციის ყველა მიმართულების შეუფერხებელი საქმიანობისთვის. ამდენად, მიზანშეწონილია 2023 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

წევრებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია მასზედ, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2022 წლის 17 ნოემბრის სხდომაზე არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება 2022 წლის 31 ოქტომბრამდე

გადავადებული 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრების მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობზე. აქედან გამომდინარე, თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, ადმინისტრაციული წარმოება დაიწყოს ასევე 2022 წლის 31 მარტის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად 2022 წლის 31 ოქტომბრამდე გადავადებული 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრების მიმართ.

მსჯელობის შედეგად, აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. **ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:**

(ა) 2023 წლის 16 თებერვლიდან დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება 2023 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით;

(ბ) 2023 წლის 16 თებერვლიდან დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება 2022 წლის 31 ოქტომბრამდე გადავადებული 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით;

(გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, განისაზღვროს ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება: სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, თინათინ ვირსალაძის I ჩიხი, N1;

(დ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 16 თებერვალი და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 21 (ოცდაერთი) კალენდარული დღე;

(ე) ადმინისტრაციული წარმოების საგანი - "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნტის თანახმად, 2023 წლის და 2022 წლის 31 ოქტომბრამდე გადავადებული 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა გამოვლენა და წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

(ვ) ვინაიდან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია, რომელთაც აქვთ საწევრო დავალიანება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლების თანახმად გამოცხადდეს საჯაროდ. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე, საწევრო დავალიანების მქონე ასოციაციის წევრთა სია, ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე, განთავსდეს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.gba.ge და ამასთან, საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური

შეტყობინებები ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე, მათ მიერ ასოციაციაში წარმოდგენილ მობილური ტელეფონის ნომრებზე.

(ზ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, "დ" ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად, დაინტერესებულ პირთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2023 წლის 9 მარტი.

(თ) ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს 2023 წლის 9 მარტი.

(ი) წინამდებარე გადაწყვეტილების „ვ" პუნქტის თანახმად, სასწევრო დავალიანების მქონე წევრთა სიის გამოქვეყნებამდე, ასოციაციის ფინანსურ მენეჯერს დაევალოს აღნიშნული სიის დაზუსტება.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე